



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 135

2011 წლის 13 ოქტომბერი
ქალაქი ხაშური

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 იანვრის №40 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 2010 წელში აუთვისებელი სახსრების ნაშთის გამოყენების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 10 თებერვლის №33 განკარგულების შესაბამისად:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 იანვრის №40 განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების თავისუფალი (აუთვისებელი) ნაშთი – 12 563 ლარი მიიმართოს ქალაქ ხაშურში მექანიკური ქარხნის მიმდებარედ არსებული საკანალიზაციო ქსელის რეკონსტრუქციის სამუშაოებისათვის.
2. განკარგულება შესასრულებლად გადაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის: ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. №2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე